

# Caucasus Edition

Journal of Conflict Transformation

პოლიტიკური ცვლილებები და  
კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ნოემბერი 2018



# პოლიტიკური ცვლილებები და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

## პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ნოემბერი 2018

### სარედაქციო გუნდისგან

კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჟურნალის ამ გამოცემაში, ექსპერტები და ანალიტიკოსები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, რუსეთიდან და თურქეთიდან ანალიზებენ რეგიონში მიმდინარე ძალადობრივ კონფლიქტებს და სთავაზობენ რეკომენდაციებს იმ აქტორებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ კონფლიქტებზე გავლენის მოხდენას.

თუკი 2016-2017 წლები თურქეთსა და მთიან ყარაბაღში შეიარაღებული დაპირისპირებების ესკალაციებით ხასიათდებოდა, 2018 წელი შედარებით მშვიდი იყო კონფლიქტურ რეგიონებში. თუმცა, საერთო დაძაბულობა კვლავაც მაღალია და ძალადობრივი კონფლიქტების განახლების საფრთხე მუდმივად არსებობს. 2018 წლის მთავარი მოვლენები, როელთაც შეიძლება გავლენა ჰქონოდათ კონფლიქტების დინამიკაზე სამხრეთ კავკასიაში, დაკავშირებული იყო ძირითადად შიდა პოლიტიკურ პროცესებთან სომხეთში და, შედარებით ნაკლებად, თურქეთსა და საქართველოში.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც მცირე სარკმელი გახსნეს მთიანი ყარაბაღის თაობაზე მოლაპარაკებებში პროგრესისათვის, სომხეთში განვითარდა. კავკასიის გამოცემის წინა, 2017 წლის ნომრის გამოქვეყნების შემდეგ, სომხეთში საპრეზიდენტოდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას თან ახლდა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტები. საპროტესტო მოძრაობამ, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ოპოზიციური პარტია კალაგაციაკან პაიმიანაგირი (სამოქალაქო ხელშეკრულება) და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, მოქმედი პრეზიდენტი აიძულა, პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან გადაეყენებინა.

მოძრაობამ, რომელიც სომხეთის “ხავერდოვანი რევოლუციის” სახელით არის ცნობილი, ხელისუფლებაში მეტწილად ახალგაზრდა, დამოუკიდებელი აქტივისტებისა და ჟურნალისტებისგან შემდგარი მთავრობა მოიყვანა. ზუსტად ჟურნალის ამ ახალი გამოცემის გამოქვეყნებას ემთხვევა 2018 წლის 9 დეკემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნები, რომლისთვისაც, დიდი ალბათობით, ახალი მთავრობა, ყოფილი დამოუკიდებელი ჟურნალისტის, ნიკოლ ფაშინიანის ხელმძღვანელობით, შეძლებს მხარდამჭერი ძალების კონსოლიდირებას და აქტივისტებისა და ჟურნალისტების ახალი ჯგუფის საკანონმდებლო ორგანოში შეყვანას.

მაშინ როდესაც სომხეთი საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის და დემოკრატიზაციის პროცესს გადიოდა, თურქეთმა საპირისპირო მიმართულებით აიღო გეზი და საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა, და ამით რეჟიმს თაიფ ერდოღანმა ძალაუფლება განიმტკიცა. ამავდროულად, საქართველო, რომელიც 2012 წელს გადავიდა საპარლამენტო სისტემაზე, აქტიურად იყო ჩართული საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ცხარე დაპირისპირებაში. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი და მმართველი კოალიცია «ქართული ოცნების» მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების დაპირისპირებამ ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ამჟამინდელ არაფორმალურ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის ჩამნაცვლებლის ფუნქცია შეიძინა. აზერბაიჯანში, რუსეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში მსგავს დრამატულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ისინი ძირითადად სამეზობლოში არსებული ცვლილებების დამკვირვებლები

იყვნენ და მათზე რეაგირებდნენ.

რა გავლენა იქონია ამ ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე და მასში შემავალი ერების სტატუსზე? 2018 წლის ამ მეორე გამოცემის ნაშრომთა კრებული შეისწავლის 2017-2018 წლებში განვითარებული მოვლენების გავლენას კონფლიქტების დისკურსებზე და ურთიერთობებზე ამ რეგიონის სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის და მათ შიგნით.

ახალი გამოცემა, სათაურით „პოლიტიკური ცვლილებები და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ შექმნილია მკვლევარებისა და ანალიტიკოსების თანაავტორობით. ისინი წარმოადგენენ სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, რუსეთს, თურქეთს და გაერთიანებულ სამეფოს.

პუბლიკაციის დასაწყისში მოცემული სამი ესე განიხილავს გარე აქტორების გავლენას სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე. ნინა კასპერსენი იორკის უნივერსიტეტიდან შეისწავლის საერთაშორისო აქტორების პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის დე ფაქტო სახელმწიფოებთან, კერძოდ, აფხაზეთთან, მთიან ყარაბაღთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. სერგეი მარკედონოვი რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტიდან ყურადღებას ამახვილებს მოსკოვის პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან მიმართებაში. ომერ ტურანი კი, ბილგის უნივერსიტეტიდან, ანალიზებს თურქეთში განვითარებული მოვლენების მნიშვნელობას ქვეყნის შიგნით და მის სამეზობლოში მიმდინარე კონფლიქტებზე.

გამოცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სამი წყვილი სტატია ანალიტიკოსებისა იმ ქვეყნებიდან, რომელთაც უშუალოდ შეეხოთ პოსტსაბჭოთა კონფლიქტები. ბაქარბერეკაშვილი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან აკრიტიკებს საქართველოში ნაციონალისტური დისკურსების ჰეგემონიას და საუბრობს იმ ზიანზე, რომელიც ამ დისკურსებმა მოუტანა ქვეყნის განვითარებას. მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის წარმომადგენელი დმიტრი დუბროვსკი კი განიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს გასული ათწლეულის განმავლობაში.

სტატიების შემდეგი წყვილის ავტორები სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები არიან. მიქაელ ზოლიანი და ლალა ჯუმაიევა პოლიკურ ტრანზიციებს აკვირდებიან შესაბამისად, სომხეთსა და აზერბაიჯანში, და იკვლევენ მათ გავლენას კონფლიქტის დისკურსების ტრანსფორმაციაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

პუბლიკაცია სრულდება სომეხი და აზერბაიჯანელი ანალიტიკოსების სტატიების კიდევ ერთი წყვილით. ანაჰით შირინიანი და ზაურ შირიევი განიხილავენ უშუალოდ სომხეთის პოსტრევოლუციურ პერიოდს და ახალი მმართველი გუნდის ხედვებს კონფლიქტთან დაკავშირებით. ასევე, ამ ცვლილებების გავლენას აზერბაიჯანში კონფლიქტთან დაკავშირებით არსებულ დისკურსზე.

ყველა სტატიის დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები იმ ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკოსებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სამხრეთ კავკასიისა და მის სამეზობლოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მუშაობენ. რეკომენდაციები ბოლო ორი წყვილი სტატიისთვის შემუშავებულია ზოლიანისა და ჯამაიევას, შირინიანისა და შირიევის თანაავტორობით.

სარედაქციო გუნდი და ყველა ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდა ეს კოლაბორაცია და ამ პუბლიკაციის გამოცემა.

სარედაქციო გუნდი: სონა დილანიანი, ფილიპ გამაღელიანი, სერგეი რუმინსევი, პინარ საიანი.

# სამხრეთ კავკასიის დე ფაქტო სახელმწიფოებთან თანამშრომლობა: კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლო სტრატეგია?

ნინა კასპერსენი

ისეთი დე ფაქტო სახელმწიფოები, როგორც აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი, ხშირად აღიწერებიან, როგორც „არარსებული ადგილები“ სუვერენული ქვეყნების რუკაზე და მათი საერთაშორისოდ (ფართოდ) არ აღიარებული სტატუსი, დიდწილად, აფერხებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან. სამხრეთ კავკასიის სეპარატისტული ერთეულების იზოლირება ნეგატიურ გავლენას ახდენს კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებზე, ისევე როგორც მომავალი კონფლიქტების პრევენციაზე. ეს კიდევ უფრო ამწვავებს რადიკალიზაციას და ზრდის ამ დე ფაქტო სახელმწიფოების დამოკიდებულებას გარეშე მფარველებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ჩართულობის მოწინააღმდეგეები, როგორც წესი, ტიტულარული სახელმწიფოები არიან, თავად დე ფაქტო სახელმწიფოებსაც ხშირად არ აქვთ მსგავსი კავშირების დამყარების სურვილი. თუკი ტიტულარული სახელმწიფოების ძირითად წუხილს მცოცავი აღიარების პროცესი წარმოადგენს, დე ფაქტო ერთეულები მცოცავი რეინტეგრაციის პროცესზე და მათი დე ფაქტო დამოუკიდებლობის შესუსტებაზე ღელავენ. აქედან გამომდინარე, ჩართულობას და თანამშრომლობას, ხშირ შემთხვევაში, ორივე მხარე პოლიტიკურ ინსტრუმენტად აღიქვამს. ამის შედეგად წარმოქმნილ დაბრკოლებებს კი, ხშირად უფრო მეტად აძლიერებს მფარველი სახელმწიფოების ჩართულობა. მფარველი სახელმწიფოების მხარდაჭერა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად სჭირდებათ დე ფაქტო ხელისუფლებებს საგარეო კავშირები და შესაბამისად, მათ სურვილზე, მიიღონ ჩართულობისა და თანამშრომლობის სხვა, შეზღუდული ფორმები. მაგალითისთვის, საქართველოს და აზერბაიჯანს საერთო წუხილი აქვთ სტატუსთან დაკავშირებით, ერთი ქვეყანა ჩართულობის მკაფიო და სულ უფრო ამბიციურ პოლიტიკას ატარებს, მეორე კი ეწინააღმდეგება სამხედრო ნდობის აღდგენის ღონისძიებებსაც კი. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაინტერესებულნი არიან ჩართულობის ზრდით, რაც დე ფაქტო ხელისუფლებების ხედვით წარმოადგენს საერთაშორისო აღიარებისკენ მიმართულ სტრატეგიას და შეიძლება იყოს გამოსავალი რუსეთის ფინანსური მხარდაჭერის შემცირების პირობებში. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი უარს ამბობს ცნოს თბილისის მიერ თავსმოხვეული შეზღუდვები ჩართულობაზე. ყველაფერი, რაც მიანიშნებს იერარქიულ ურთიერთობაზე ან ტიტულარული სახელმწიფოს აძლევს დე ფაქტო სახელმწიფოში რაიმე საქმიანობის გაკანტროლების შესაძლებლობას, უარიყოფა. მაგალითად, აფხაზეთმა პოლიტიკოსებმა უმაღლესი უარყვეს საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული სავაჭრო თანამშრომლობა იმ არგუმენტით, რომ დე ფაქტო ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა ჩართული ამ შემოთავაზების განხილვის პროცესში. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში, სომხური მხარე, ძირითადად, მხარს უჭერს ნდობის აღდგენის ღონისძიებებს (CBM) და მოითხოვს სწორედ ასეთი ღონისძიებების განხორციელებას კონფლიქტის სამომავლო მოგვარების შინაარსზე საუბრის დაწყებამდე. თუმცა, ამ ღონისძიებების მხარდაჭერაც დიდწილად მათ სპეციფიკურ ფორმაზეა დამოკიდებული და ყარაბაღის ხელისუფლებაც გაავლებდა რამდენიმე „წითელ ხაზს“ მოლაპარაკების მაგიდაზე უფრო ფართო ჩართულობის შემოთავაზების არსებობის შემთხვევაში. სომხეთის პოზიციით, ნდობის აღდგენის ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ და გაამყარონ მოცემული სტატუსკვო. შესაბამისად, ის უარყოფს აზერბაიჯანული მხარის შემოთავაზებას ყარაბაღის სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს შორის ურთიერთობის წახალისების შესახებ.

ჩართულობისა და ერთი შეხედვით სტატუსნეიტრალური შემოთავაზებების აღქმას ვერ გავანალიზებთ კონფლიქტების უფრო ფართო დინამიკისგან და საშინაო შეზღუდვებისგან იზოლირებულად. ობიექტური «წითელი ხაზების» ეს სიმცირე იშნავს იმას, რომ შესაძლებელია ორივე მხარის დარწმუნება, რომ დეიზოლაცია მნიშვნელოვანია. ამ ანალიზიდან შემდეგი რეკომენდაციები გამომდინარეობს:

## რეკომენდაციები:

- კონფლიქტის მოგვარების კრეატიული, სტატუსის ნეიტრალურობაზე დაფუძნებული ხედვების განვითარება ხელს შეუწყობს დე ფაქტო ხელისუფლებების დათანხმებას ჩართულობაზე ტიტულარულ სახელმწიფოებთან გაუცხოვების გარეშე. დე ფაქტო სახელმწიფოებთან დაკავშირებული სხვა კონფლიქტები ამის სასარგებლო მაგალითებს გვაწვდიან.
- თუმცა, „სტატუსის ნეიტრალურობის“ აღქმა სხვადასხვა კონფლიქტის შემთხვევაში სხვადასხვაა. მეტი ძალისხმევა საჭირო ტიტულარული და დე ფაქტო სახელმწიფოების წასახალისებლად საერთაშორისო სტატუსის და მისგან გამომდინარე შეზღუდვების ნაკლებად მკაცრად ინტერპრეტაციისთვის. ტიტულარული სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ არალიარების პოლიტიკა თავსებადია სეპარატისტულ ტერიტორიებში ფართო საერთაშორისო ჩართულობასთან.
- შესაძლებელია ნდობის აღდგენის ღონისძიებების გარკვეულწილად დეპოლიტიზირება ფოკუსის ტექნიკურ საკითხებზე გადატანით და მათი აღსრულების არასახელმწიფო აქტორებზე მინდობით, ასევე შეხვედრების ნეიტრალურ ადგილებში გადატანით. [საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია] “International Alert”-ის თქმით, ყარაბაღის კონფლიქტით ყველაზე მეტად დაზარალებული ადამიანებისგან ბევრმა გამოხატა „მეორე მხარესთან“ შეხვედრისთვის მზადყოფნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობის აღდგენის ასეთი, ადგილობრივი პოტენციალი სათანადოდ იქნეს გამოყენებული.
- დეპოლიტიზირებული ნდობის აღდგენის ღონისძიებები (CBM) შეიძლება გახდეს სასარგებლო პირველი ნაბიჯი უფრო ამბიციური ზომების შემუშავებისკენ. ეფექტური ნდობის აღდგენის ღონისძიებები (CBM) საკუთარ თავში პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებსაც მოიცავს და ეფუძნება “მეორე მხარის ნდობის აღდგენაში შეგნებული წვლილის შეტანას”.
- ჩართულობა ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებებთან - როგორც ეტაპობრივი მიდგომის პირველი ნაბიჯი, ან როგორც პარალელური, მაგრამ ფორმალურად დაკავშირებული პროცესი. იმისთვის, რომ არიდებულ იქნას წინააღმდეგობა დე ფაქტო სახელმწიფოების ან მათი მფარველების მხრიდან, ეს შეიძლება განხორციელდეს საბოლოო სტატუსის წინასწარი განსაზღვრის გარეშე, რაც საჭიროებს „კონსტრუქტიული ორაზროვნების“ გარკვეულ დონეს.
- კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების არ არსებობის შემთხვევაშიც კი, ცხადი უნდა იყოს ჩართულობის მიზანი. მაგალითად, კონფლიქტის ესკალაციის თავიდან არიდება ან ურთიერთობების გაუმჯობესება.
- რიტორიკის შერბილება, ორივე მხარეს, ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. ღია მედიის პროექტებს, შეუძლიათ შეუწყონ ხელი დომინანტური დისკურსების გაუმჯობესებას, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევა მოითხოვს უმაღლესი ხელმძღვანელობის წილს ამ პროცესებში.

# რუსეთი და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში: ძირითადი მიდგომები, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები

## სერგეი მარკედონოვი

გასულ წლებში ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო დღის წესრიგის პერიფერიაზე მოათავსა. მიუხედავად ექსპერტების და დიპლომატების შემცირებული ყურადღებისა, ეს რეგიონი ინარჩუნებს თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

კავკასიის კონფლიქტებზე მზარდი გავლენა აქვს გარე ფაქტორებს, მათ შორის, დაპირისპირებას რუსეთსა და დასავლეთს შორის და შეიარაღებულ კონფლიქტს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინასა და სირიაში. შედეგად, კავკასიაში არსებული საკითხები არის უფრო ფართო კონტექსტების ნაწილი. ამ კონფლიქტების რეგიონულ ფორმატს სულ უფრო ხშირად ახლავს თან გეოპოლიტიკური გათვლები, რაც ამცირებს კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობას, რადგან ამ დონეზე „ნულოვანჯამოვანი თამაშის“ პრინციპი ხდება წამყვანი. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნების, ისე რუსეთის მონაწილეობით ზოგადი და არსებითი დიალოგის წამოწყება ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე უკრაინაში, კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში არსებულ სიტუაციებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, აღნიშნულ საკითხზე მინიმალური პოზიტიური დინამიკის გარეშე, კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების შესახებ საუბარი პრობლემატურია. ამ მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა მოთამაშის ინტერესებზე ცოდნის განახლება, მათი კონკურენტული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა და ერთიანი გზამკვლევის შემუშავება, მიუხედავად სტატუსებთან დაკავშირებული დავებისა.

## რეკომენდაციები:

კავკასიაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარმოდგენისას გათვალისწინებულია არსებული თანამედროვე ტენდენციები:

- თავიდან უნდა ავიცილოთ მოლაპარაკებების არსებული ფორმატების ჩამოშლა: საუბარია კავკასიაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით შენევის შეხვედრებზე და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე. ეს ფორმატები ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც კომუნიკაციის არხები როგორც კონფლიქტის მხარეებს, ისე სამშვიდობო პროცესში ჩართულ სხვა მოთამაშეებს შორის.
- მოცემულ კონტექსტში, მთავარი მიზანია არსებობდეს საერთო სიტყვიერი შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელსაც მხარს დაუჭერს შენევის მოლაპარაკებებში ჩართული ყველა მხარე. მომავალში, ამ იურიდიულად არადაშვალდებულელებელი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია უფრო დეტალური დოკუმენტის შემუშავება.
- შენევის დისკუსიების ფარგლებში უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების შესახებ ცალკეული სამუშაო ჯგუფების მუშაობა. აუცილებელია დაკავებებისა და დაპატიმრებების მინიმუმამდე შემცირება და კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის ყველაზე მოსახერხებელი გზებით კონტაქტის უზრუნველყოფა.
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ევროკავშირის “ჩართულობა აღიარების გარეშე” მიდგომას უნდა დაემატოს უფრო პრაქტიკული შინაარსი. მნიშვნელოვანია იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებშიც სოხუმს, ცხინვალს, თბილისს, მოსკოვს, ევროკავშირსა და სხვა მოთამაშეებს შეეძლება ურთიერთქმედება მიუხედავად სტატუსის საკითხის გადაუჭრელობისა.
- არსებული დიპლომატიური ფორმატის (ეუთოს მინსკის ჯგუფი) პარალელურად, მნიშვნელოვანია სამხრეთი პროცესების (მოლაპარაკებები სომხეთის, აზერბაიჯანისა

და რუსეთის პრეზიდენტებს შორის) გააქტიურება. ამ (სამმხრივმა) ფორმატმა უკვე მოიტანა გარკვეული შედეგები 2008-2012 წლებში. მის ფარგლებში შესაძლებელი გახდა აღკვეთილიყო ერევანსა და ბაქოს შორის სამხრეთ ოსეთის სცენარის განმეორება. მხარეებმა საერთო შეთანხმებასაც კი მიაღწიეს ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით და ძალიან ახლოს იყვნენ „ძირითად პრინციპებზე“ კომპრომისის მიღწევასთან. რუსეთის მონაწილეობის გაზრდასთან ერთად, ეს ფორმატი მოსკოვს საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს თანამშრომლობა საფრანგეთთან და აშშ-სთან, რომლებიც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებს წარმოადგენენ და დაინტერესებულნი არიან ამ მიმართულებით რუსეთთან თანამშრომლობით. რუსეთის ეფექტური მოქმედება ამ კონტექსტში გააძლიერებს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ნდობას და ხელს შეუწყობს უფრო ფართო საერთაშორისო საკითხების მოგვარებას.

- მნიშვნელოვანია დაიწყოს კონსტრუქციული ურთიერთობების მშენებლობა რუსეთსა და სომხეთის ახალ მთავრობას შორის, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული პოლარიზაცია რესპუბლიკის შიგნით და არ იქნას გადაფასებული როგორც რუსეთთან ურთიერთობები, ისე ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის პროცესი. მაღალი ხარისხის ურთიერთობები სომხეთის ახალ მთავრობასთან უმნიშვნელოვანესია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში. ეს დაეხმარება ერევანს გადალახოს მოლაპარაკებების პროცესში არსებული სტაგნაცია და დაუბრუნდეს ბაქოსთან უფრო შინაარსიანი დიალოგის ფორმატს.
- უნდა შემუშავდეს განსაკუთრებული რუსულ-სომხური ინტეგრაციის პაკეტი, რომელიც იქნება ხიდი ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უშუალოდ არ უკავშირდება კონფლიქტის მოგვარებას, ასეთი „და-და“ მოდელი და ცალსახად მოსკოვის ან ბრიუსელის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებაზე უარი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, თუ გავითვალისწინებთ რუსეთსა და დასავლეთს, (ან, სულ მცირე, ევროკავშირს) შორის პრაგმატული ურთიერთობების პერსპექტივებს.
- მოსკოვის პოლიტიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, რომელთა პოლიტიკურ ელიტებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ თავიანთი არსებობის პერსპექტივებზე, დივერსიფიცირებული უნდა იყოს. ამასთან ერთად, სოხუმისა და ცხინვალის ინტეგრაციის კოორდინირებისას ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რუსეთს საკუთარი ინტერესები აქვს, და მოსკოვს ვერ ექნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლობისტის პოზიცია. (ამ თვალსაზრისით, სასარგებლო იქნებოდა, თავის შეკავება „გაერთიანებული ოსეთის“ გეგმის - ყირიმის მოდელის მაგალითზე - განხორციელებისგან).
- არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს შორის უნდა განვითარდეს ის უკვე ნაცადი თანამშრომლობის სფეროები, რომლებიც მხარეების პოზიციებს აერთიანებენ. ეს ეხება უსაფრთხოების საკითხებს ჩრდილოეთ კავკასიის საზღვარზე (განსაკუთრებით რადიკალურ ისლამიზმთან დაპირისპირებას). ეს თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პანკისის, ისე ახლო აღმოსავლეთის ტერორისტულ და ექსტრემისტულ სტრუქტურებში საქართველოდან და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიიდან ემიგრანტების მონაწილეობის კონტექსტში.
- მნიშვნელოვანია დამყარდეს პრაგმატული ურთიერთობები რუსეთს, აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის ახლო აღმოსავლეთში რადიკალური ჯიჰადიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით (ამ რეგიონში არსებული სიტუაციის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის გათვალისწინებით).
- ნატოსა და რუსეთს შორის უნდა დამყარდეს რეგულარული კავშირი კავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით. ეს მოდელი უკვე გამოიცადა სირიაში. ასევე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება შემცირდეს შესაძლო რისკები სამხედრო წვრთნების დროს.
- უნდა გააქტიურდეს და, შესაძლოა, რეგულარული სახე მიეცეს კონსულტაციებს მოსკოვს, ანკარასა და თეირანს შორის კავკასიაში არსებულ საკითხებზე. თანამშრომლობის ამ ფორმატმა უკვე მოიტანა შედეგები ახლო აღმოსავლეთში. როგორც ჩანს, ის შეიძლება სამხრეთ კავკასიის შემთხვევაშიც გამოიყენოს.
- უნდა შეიქმნას კოორდინაციის მექანიზმი უსაფრთხოებისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობისთვის მთლიანი კავკასიის რეგიონში (ეს უნდა მოიცავდეს წარმომადგენლებს საქართველოდან და აზერბაიჯანიდან, რომლებსაც აქვთ საერთო



საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში). რუსეთის მხრიდან ამ პროცესში შეიძლება მონაწილეობდნენ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის, ისე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები. ასეთი გამოცდილება უკვე არსებობდა 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების პირველ ნახევარში.

- უნდა შეიქმნას მთლიანი კავკასიის საკოორდინაციო ექსპერტულ-ანალიტიკური სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს შორის ურთიერთობას და ინფორმაციის გაცვლას. ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე ტერორიზმთან დაპირისპირების საკითხებზე მომუშავე ექსპერტულ სტრუქტურების შორის რეგულარული ურთიერთობის უზრუნველყოფა. ეს ხელს შეუწყობს ექსპერტული ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას პრაქტიკული რეკომენდაციების შესამუშავებლად სრულიად კავკასიის უსაფრთხოების, თავდაცვის და პოლიტიკურ განვითარებასთან დაკავშირებით.

# თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ორი მოდალობა: რბილი ძალიდან საომარ რიტორიკამდე

## ომერ ტურანი

2002 წლიდან მოყოლებული „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ (AKP) მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკას ორი მოდალობით აკავშირებდა. პირველი მოდალობა იყო ცივილიზაციონისტური საგარეო პოლიტიკური ხედვა, რასაც თან ერთვის საშინაო დონეზე დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგი. თუმცა, 2018 წლისთვის ეს მოდალობა ჩანაცვლდა. ახალი მოდალობა BRICS-ის შიგნით თურქეთის ადგილის ძიებაა და ამ საგარეო პოლიტიკას თან ერთვის საშინაო დონეზე საპრეზიდენტო - „ერთი, ძლიერი მმართველის“ - სისტემაზე გადასვლა. ის ეფუძნება მუდმივად მზარდ ავტორიტარიზმს საშინაო დონეზე, თუმცა საგარეო პოლიტიკის მხრივ თანმიდევრული გეგმა არ გააჩნია. ერდოღანის სტილის საგარეო პოლიტიკა ცდილობს ერთდროულად იყიდოს S-400 რაკეტები რუსეთიდან და F-35 უჩინარი საბრძოლო თვითმფრინავები აშშ-დან, ან ჰქონდეს ერთობლივი გეგმა რუსეთთან სირიის მომავალზე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთსა და სირიას არ გააჩნიათ საერთო ხედვა იმის შესახებ, რომელი ჯგუფები მოიაზრონ ტერორისტებად. ის ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირთან ურთიერთობებში გარკვეული პროგრესს, თურქეთის ყოვლისმომცველი ევროპული ინტეგრაციისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. ეს არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკური ხედვა კიდევ უფრო ამცირებს თურქეთის უკვე შეზღუდულ შანსს ხელი შეუწყოს რეგიონის სტაბილურობას.

რა გავლენა აქვს ერდოღანის მიერ წარმართულ ამ ახალ მოდალობას სამხრეთ კავკასიაზე? უპირველეს ყოვლისა, მეორე მოდალობით, თურქეთი მეტად კონცენტრირდება თავის საშინაო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, რეგიონულ სტაბილურობასთან და სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული საკითხები უბრალოდ აღარ არის თურქეთის დღის წესრიგის ნაწილი. ადრეულ 2000-იანებში, აშშ წინასწარმეტყველებდა, რომ ანკარასა და ერევანს შორის ნორმალიზაციის პროცესის მიღწევის გარეშე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შანსი ძალიან მცირე იყო. ამიტომაც, აშშ-მ წამოიწყო არასახელმწიფო დიპლომატიის პროცესი. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებრივი აზრი სომხეთში და სომხურ დიასპორაში ეჭვის თვალთ უყურებდა დიალოგის ამ არხს, რომელმაც რეალურად კონკრეტულ შედეგებს ვერ მიაღწია, ის ყოფილი სომეხი და თურქი დიპლომატების და ექსპერტების ერთ მაგიდასთან მოთავსების მნიშვნელოვანი მცდელობა იყო. 2018 წლისთვის ეს ფორმულა კვლავ ინარჩუნებს ვალიდურობას: ანკარასა და ერევანს შორის ურთიერთობების ნორმალიზება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული დამაბულობის შემცირებას. იმ პირობებში, როცა ანკარა რუსეთს უახლოვდება და აძლიერებს ავტორიტარული მმართველობის სტილს ქვეყნის შიგნით, არ არსებობს ერევანთან ურთიერთობების ნორმალიზების და სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობაში დადებითი წვლილის შეტანის რეალისტური იმედი. მეტიც, კავშირები ანკარასა და ბაქოს შორის არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური იდენტობით. ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას, რეალპოლიტიკის ჭრილში, ძლიერ მოკავშირეებად აქცევს.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, იმის მიუხედავად, რომ თითქოს ერთპიროვნულმა მმართველობის სტილმა დღევანდელ თურქეთში მყარად მოიკიდა ფეხი, საერთაშორისო დამკვირვებლებმა კავკასიაში და ევროპაში უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს ავტორიტარული ფაზა თურქულ პოლიტიკაში არასიცოცხლისუნარიანი გზაა გრძელვადიან პერსპექტივაში. დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი თურქეთში მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია à la turca ავტორიტარიანიზმის მდგრადობის ეჭვქვეშ დასაყენებლად. თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ არსებულ კონსტიტუციონალიზებულ ავტორიტარიზმს არ აქვს ინსტიტუციონალური საფუძველი, რაც მმართველობის ამ სტილის მდგრადობისთვის მთავარი პრობლემა აღმოჩნდება.

## რეკომენდაციები:

- პირველ რიგში, ევროპის ინსტიტუტები სერიოზულად უნდა მიუდგნენ თურქეთის დემოკრატიზაციის პროცესს, ისევე როგორც თავიანთ პასუხისმგებლობას, იმოქმედონ რედემოკრატიზაციისთვის. მათი მთავარი პასუხისმგებლობაა, არ აქციონ თურქეთი ქვეყნად, რომელთანაც მხოლოდ ლტოლვილების საკითზე შეიძლება მოლაპარაკება. ევროპულმა ინსტიტუტებმა უნდა აჩვენონ, რომ თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების უგულვებელყოფას ანკარისთვის გარკვეული უარყოფითი შედეგები მოჰყვება. ცოტა ხნის წინ, ევროპარლამენტის მიერ უნგრეთის წინააღმდეგ ევროკავშირის ძირითადი ღირებულებების დარღვევისთვის მიღებული უპრეცედენტო დისციპლინარული ზომები მსგავს ქმედებაზე რეაგირების ნიშნული უნდა გახდეს.
- მეორე, ევროპულმა ინსტიტუტებმა უნდა გამონახონ ინოვაციური მეთოდები საკუთარ საზღვრებს გარეთ რეგიონებში ჩართულობისთვის. ეს ახალი პერსპექტივა უნდა მოიცავდეს უფრო პირდაპირ ჩართულობას ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში, რაც ერთდღანისთვის გზავნილი იქნება, რომ თურქეთში არსებული კრიზისის დასაძლევად ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი გზა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გონივრულად დაკავშირებაა, რაც საომარ რიტორიკაზე უარის თქმას გულისხმობს.
- მესამე, თურქეთში არსებული ავტორიტარიზმის საპასუხოდ, ევროპულმა ინსტიტუტებმა სხვადასხვა დონეზე უნდა იმოქმედონ, მათ შორის, თურქეთში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერების გზით. ეს მხოლოდ ევროკავშირის პასუხისმგებლობა არ არის - ევროსაბჭოს წილიც ასევე მნიშვნელოვანია, თუ მეტად არა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება, რომელიც თურქეთის „სახალხო დემოკრატიული პარტიის“ (HDP) ყოფილი ლიდერის, სელაჰატინ დემირთშის განთავისუფლებას მოითხოვს, ასეთი პასუხისმგებლობის აღების კარგი მაგალითია.

# ნაციონალიზმი და ჰეგემონია პოსტკომუნისტურ საქართველოში

## ბაქარ ბერეკაშვილი

საქართველოში თანამედროვე ნაციონალისტურ დისკურსებს რომლებიც სეკულარულ, დასავლური ყაიდის საქართველოზე ორიენტირდება, ძირითადად ელიტების მიერ მხარდაჭერილი ანტირუსული სენტიმენტები წარმართავს. 2008 წლის ომმა გააღრმავა მტრის ხატის შექმნის და მის მძლავრ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ იარაღად გამოყენების პროცესი. სააკაშვილის რეჟიმმა გაატარა მლიერი ანტირუსული პროპაგანდა დღევანდელი რუსეთის საბჭოთა კავშირთან გაიგივების რიტორიკული ხერხის გამოყენებით. მტრის ხატის აგება ასევე მოიცავდა რუსეთის წარმოდგენას “ევროპული ცივილიზაციის” ისტორიულ მტრად, რომელიც კონფლიქტშია საქართველოსთანაც, როგორც იმავე “ცივილიზაციის” ისტორიულ ნაწილთან. 2008 წლის შემდგომ ეპოქაში, რუსეთის ფაქტორი ყველა სფეროში კონკურენტების დისკრედიტაციის ძირითადი კრიტერიუმი გახდა. რეჟიმის ოპონენტების დევნა და მარგინალიზება იდეოლოგიური ოპონენტების კრემლის აგენტებად მონათვლით ხდება, პოლიტიკური ძალები კი ერთმანეთს პრორუსულობაში ადანაშაულებენ. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მხარდაჭერაც კი “მოღალატის ენად” განიხილება. ნორმალიზაციის ენა მკაცრად არის სტიგმატიზებული დომინანტური კლასის (მათ, ვინც გავლენას ახდენს პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე) და მეინსტრიმული მედიის მიერ, რომლებიც მას „მტერთან კოლაბორაციის“ წახალისებად ინტერპრეტირებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ეროვნების ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის აღმოფხვრა საქართველოში ლიბერალური რიტორიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, სიძულვილის ენა რუსეთთან და რუსებთან მიმართებაში ლიბერალური მწვალებლობების სიაში არ გვხვდება.

## რუსეთი და საქართველო 2008-2018 - ესკაპიზმი მშვიდობისთვის?

### დმიტრი დუბროვსკი

ექსპერტებისა და მკვლევრების დიდი ნაწილის აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის კონფლიქტი რუსეთის საგარეო პოლიტიკის სერიოზული ტრანსფორმაციის მიზეზი გახდა. ამ ტრანსფორმაციის ვექტორი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც რუსული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ეთნიკურიდან იმპერიალურზე გადასვლა. ეს იმპერიალური ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, წინააღმდეგობაში მოდის ქართული ლიბერალური ნაციონალიზმის პოლიტიკურ ნარატივებთან. იმპერიალური ნაციონალიზმისგან განსხვავებით, ლიბერალურ ნაციონალიზმს დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოება ნაციონალიზმის მისაღებ ფორმად მიიჩნევს. თუმცა, საქართველოში მის უკიდურეს პოპულარობას თავისი გავლენა ჰქონდა კონფლიქტური სიტუაციის განვითარებაზე. მოსალოდნელია, რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტში პირდაპირმა ჩარევამ, სეპარატიზმის პირდაპირმა მხარდაჭერამ და სამხედრო კონფრონტაციამ, რუსეთის აგრესორად და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრად აღქმა გამოიწვია.

საქართველოში რუსეთის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება შეგვიძლია ორნაირად დავახასიათოთ. ერთი მხრივ, მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს, მისი სამხედრო ქმედებების და სეპარატიზტების მხარდაჭერის გათვალისწინებით.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს ამ თვალსაზრისს: მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს მთავარ საფრთხედ აღიქვამს. ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან ერთად, რესპონდენტები მთავარ საფრთხედ რუსულ პროპაგანდას ასახელებენ. მეორე მხრივ, რეალური ეკონომიკური კავშირები, ტურისტების დიდი რაოდენობა და ყოველდღიური პირადი კონტაქტები ამცირებს ადგილობრივ ქსენოფობიას და მას რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებების პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების დონეზე ტოვებს.

## რეკომენდაციები

### დმიტრი დუბროვსკი

ვინაიდან რუსეთის მიზნები და სტრატეგია საქართველოში პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოებრიობის ლოგიკასა და განვითარების გეგმებს, ლოგიკურია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობისას არ განიხილებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები. არსებულ კონტექსტში, ნებისმიერი დისკუსია ამ საკითხებთან დაკავშირებით სავარაუდოდ კონფლიქტის უფრო მეტად გამწვავებას გამოიწვევს, მისი გადაჭრის გზების ხელშეწყობის ნაცვლად (Haindrava, Sushentsov, and Silaev 2014). საშინაო ეთნიკური ნაციონალიზმების განვითარება, კონსერვატორულის - როგორც რუსეთში, თუ ლიბერალურის - როგორც საქართველოში, საშიშია, არა მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტის შესაძლო ეთნიზაციის გამო, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველოში იდენტობის პოლიტიკა, რომელიც, როგორც ჩანს, მეტისმეტად არის შეზღუდული ეთნოკულტურული მიჯნებით, ჰორიზონტის გაფართოებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქართულმა სახელმწიფომ მოიპოვოს ერთგულება ეთნიკური უმცირესობებისგან, რომელთაგან ბევრის დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებისგან. საქართველოს ფედერალიზაციამ - კონსტიტუციაში ცვლილების გზით - შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს სიტუაცია იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ამჟამად საქართველო ვერ აკონტროლებს. ამ რეკომენდაციას წარმოვუდგენთ არა მხოლოდ საქართველოს მთავრობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საერთაშორისო დონორებსაც.

ამჟამად, ევროკავშირი გამოწვევის წინაშე დგას, რადგან ლიბერალური ნაციონალიზმები სწრაფად ტრანსფორმირდებიან არალიბერალურ დემოკრატიადად, განსაკუთრებით პოლონეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში. ამ თვალსაზრისით, ალბათ, გონივრული იქნება გადაიხედოს ლიბერალური ნაციონალიზმის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და აღვიქვათ ის სერიოზული პრობლემების წყაროდ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირი, აშშ-სგან განსხვავებით, რუსეთისთვის ნაკლებად გამაღიზიანებელია, ის შეიძლება გახდეს (და ზოგიერთ შემთხვევაში უკვე არის) კონფლიქტის მოდერატორი (Firchova&Grono 2010). ვინაიდან ზოგადად, დღევანდელი პოლიტიკური გარემო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებისთვის არახელსაყრელია, ფოკუსირება უნდა მოხდეს უფრო პატარა ნაბიჯებზე, რომლებიც დაემყნება არსებულ კულტურულ, ეკონომიკურ და საგანმანათლებლო კავშირებზე.

### ეკონომიკა

ევრაზიული ინტეგრაციის პროცესიდან საქართველოს გამოთიშვა არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას არ შეუძლია ისარგებლოს რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობით. რუსეთის მიერ დასავლურ საკვებ პროდუქტებზე დაწესებულმა სანქციებმა, შესაძლოა საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის რუსული ბაზრის გაფართოებას გაუხსნას გზა. ასევე დიდი პოტენციალი არსებობს სამთო-მოპოვებითი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, რუსული ტურიზმის აქტიური განვითარება ქართული მხარისგან შემხვედრ ნაბიჯებს მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, შეიძლება

გაიზარდოს სასაზღვრო პუნქტების რაოდენობა, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების საკითხების ფრთხილი გათვალისწინებით. ამჟამად, საქართველოში პერსონალური სატრანსპორტო საშუალებებით შემომსვლელი ტურისტები ხშირად ჩივიან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე გრძელი რიგების გამო. ამასთან ერთად, საჭიროა ტურისტებისთვის ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდების ხელშეწყობა: ამჟამად, ბევრ ტურისტულ ლოკაციაზე მასალები და ინფორმაცია რუსულ ენაზე არ არის ხელმისაწვდომი. რაკი რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა აღდგა, შემდეგი ნაბიჯი შეიძლება იყოს საქართველოს საჰაერო გადამზიდის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მან უზრუნველყოს ბილეთების უფრო დაბალი ფასი რუსეთიდან ფრენებისთვის, რაც უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას გამოიწვევს (ამჟამად, ბილეთის ფასი ცენტრალური რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით თითქმის იგივეა, რაც ბილეთის ფასი ევროპის ქვეყნების მიმართულებით). ასევე, შესაძლებელია შეიქმნას საზაფხულო ჩარტერული ფრენის სისტემა, განსაკუთრებით ბათუმის მიმართულებით. გარდა ამისა, საქართველოდან სოხუმში ფრენის ნებართვამ შესაძლოა ხელი შეუწყოს აფხაზეთსა და საქართველოს შორის კავშირების გაძლიერებას.

### მასმედია და განათლება

ეთნიკური კატეგორიების გამოყენება რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ორივე შემთხვევაში, კონფლიქტების აღწერის ენიდან ეთნიკური კომპონენტის ამოღება შესაძლებელს გახდის მათ პოლიტიკურ ასპექტებზე კონცენტრირებას. ამავდროულად, ეთნიკური კატეგორიების უარყოფა, კონფლიქტის ორივე მხარეს, ეთნიკური კონსერვატორების პოზიციებს გააუფასურებს. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოში ლიბერალური ნაციონალიზმის ენის დელეგიტიმაცია, რადგან ის საფრთხეს უქმნის საერთო ქართული იდენტობის უფრო ფართო, ისეთი ჩარჩოს განვითარებას, რომელიც ეთნიკური უმცირესობების და “ეთნიკური უმრავლესობის” თანასწორუფლებიანობას გულისხმობს. ამჟამად, ეს ასე არაა საქართველოში და, როგორც კვლევები აჩვენებენ, ეთნიკური უმცირესობები უკიდურესად შემფოთებულები არიან ქართული ნაციონალიზმის ზრდით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს განათლების სისტემა, რომელიც საქართველოს ახალი საერთო იდენტობის განვითარებისთვის ისტორიულ, ეთნიკურ და კულტურულ ნარატივებში იჭრება. მაგალითისთვის, ნაცვლად იმისა, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართველების ვიქტიმიზაცია რუსების მიერ ვიქტიმიზაციას გაუიგივდეს, ორივე საზოგადოება შეიძლება აღიწეროს, როგორც, ერთი მხრივ, საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი და, მეორე მხრივ, საბჭოთა ფორმის ავტორიტარიზმის შექმნის თანამონაწილე.

რუსული ენა და მისი განვითარება, ოფიციალურად არის აღიარებული რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად. ამ ფაქტორმა შეიძლება ხელი შეუწყოს საქართველოში რუსული ენის სწავლების პროექტებს ძირითადად საერთო კულტურისა და მეხსიერების სფეროებში.

### საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია

მოსკოვის საპატრიარქოს რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას (ROC-MP) და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მთელი ისტორიის მანძილზე ძლიერი კავშირები ჰქონდათ. ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურმა კონფლიქტებმა კი ვერ გაწყვიტა ეს კავშირი. იმის მიუხედავად, რომ ქართულმა ეკლესიამ მხარი არ დაუჭირა ROC-MP-ს უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ კონფლიქტში, მათ თანამშრომლობას დიდი პოტენციალი აქვს, პირველ რიგში, ჰუმანიტარული პროექტების განვითარების მხრივ, მაგალითად, აფხაზეთში.

## მილიტარიზმის სილატაკე: “ხავერდოვანი რევოლუცია” და მილიტარისტული კვაზი-იდეოლოგიის მარცხი სომხეთში

### მიქაიელ ზოლიანი

ბოლო წლებში, «ხავერდოვანი რევოლუციამდე», სომხეთის მმართველი ელიტა ლეგიტიმაციისა და საზოგადოების ნდობის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ხელისუფლება ამ ვაკუუმის შევსებას ცდილობდა მილიტარისტული კვაზი-იდეოლოგიით, რომელიც ე.წ. «ერი-არმიის» კონცეფციით იყო წარმოდგენილი. ეროვნული მობილიზაციის ქვეტექსტით, ეს კონცეფცია მხარს უჭერდა საზოგადოების კონსოლიდაციას პოლიტიკური ხელისუფლების გარშემო. 2018 წლის ზაფხულამდე მიიჩნეოდა, რომ „ერი-არმიის“ კონცეფცია თითქოს დაეხმარა კიდეც ხელისუფლებას საკუთარი მიზნების მიღწევაში - უზრუნველყო პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის ძალაუფლების გაგრძელების კვაზი-იდეოლოგიური ლეგიტიმაცია. თუმცა, 2018 წლის აპრილში, მასობრივმა საპროტესტო ტალღამ, რომელმაც სომხეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენა გააერთიანა, სარქისიანის მთავრობა წააგდო. სამხედროებმა, “ხავერდოვანი რევოლუციის” თითქმის ყველა ეტაპზე ნეიტრალურობა შეინარჩუნეს, გარდა ერთი ეპიზოდისა, 23 აპრილს, სარქისიანის გადადგომის დღეს, როდესაც პროტესტს სომეხი მშვიდობისმყოფელების ბატალიონი შეუერთდა, შეუიარაღებელი, თუმცა ფორმებში. სარქისიანის მთავრობის იმედი, რომ სამხედროები მათ დახმარებას გაუწევდნენ, მცდარი გამოდგა: “ხავერდოვანი რევოლუციამ” აჩვენა, რომ „ერი-არმიის“ კონცეფციამ ვერ მოახერხა ვერც სამხედროებისა და ვერც სამოქალაქო საზოგადოების შთაგონება. მმართველი ელიტის არაპოპულარობამ და ფართოდ გავრცელებულმა კორუფციამ ძირი გამოუთხარა არსებული სისტემის ლეგიტიმაციისთვის “ერი-არმიის” კონცეფციის გამოყენების ეფექტიანობას, რამაც “ხავერდოვანი რევოლუციას” გაუკვალა გზა. რასაკვირველია, «ერი-არმიის» მილიტარიზმის დამარცხება, მართლაც კარგი სიახლეა როგორც სომხეთისთვის, ისე მთელი რეგიონისთვის, მაგრამ ნაადრევია ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისკენ მყისიერი ნაბიჯების მოლოდინი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, სომხეთის ხელისუფლების შეცვლა, ახალი მიდგომებისა და პერსპექტივების შესაძლებლობებს ქმნის, რამაც შეიძლება საბოლოოდ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ წაგვიყვანოს.

## ომისა და მშვიდობის დისკურსები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში: აზერბაიჯანის შემთხვევა

### ლალა ჯუმაიევა

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მთიანი ყარაბაღის მოლაპარაკებების პროცესზე და მომავალში შესაძლოა სამშვიდობო მოლაპარაკებები გზას ააცდინოს, არის აგრესიული რიტორიკა, რომელსაც სომეხი და აზერბაიჯანელი ოფიციალური პირები იყენებენ. აზერბაიჯანში სამხედრო ძალის მუდმივი ზრდა, ერთი მხრივ, მთავრობის მიერ აგრესიული რიტორიკის გამყარებას იწვევს და მეორე მხრივ, სომხეთის უსაფრთხოების დილემაზე ახდენს გავლენას. სომხეთი, თავის მხრივ, მიმდინარე მილიტარიზაციის პროცესზე რეაგირების საჭიროებას გრძნობს. 2016 წლის აპრილის ომის შემდგომ, სომხურმა მხარემ თავისი ანტაგონისტური რიტორიკა და მილიტარიზაცია გააძლიერა. ეს ორმხრივი სამხედრო მობილიზაცია მანკიერი წრე გახდა, რომელსაც, პირველ რიგში, მესამე მხარეები (რუსეთი, აშშ და ირანი) იყენებენ თავიანთი დღის წესრიგის სასარგებლოდ, და ის უარყოფითად აისახება მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, ქმნის რა უნდობლობას მხარეებს შორის. 2018 წლის აპრილში, პრეზიდენტმა ალიევმა ინაუგურაციის ცერემონიაზე განაცხადა, რომ არა

მხოლოდ მთიანი ყარაბაღი, არამედ თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაც აზერბაიჯანის ისტორიული მიწა იყო (Aliyev 2018a). რა თქმა უნდა, ასეთი განცხადებით, რომელიც ძირითადად შიდა აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი, აზერბაიჯანის მთავრობას სომხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტზე დამუქრების განზრახვა არ ჰქონია. თუმცა, სომხეთში ეს გზავნილი სუვერენიტეტისთვის საფრთხედ აღიქვეს. მოგვიანებით, იმავე თვეში, აზერბაიჯანის მთავრობა იმედოვნებდა, რომ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად, მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში კონსტრუქციული ცვლილებები მოხდებოდა. სომხეთში «ხავერდოვანი რევოლუციის» შედეგად პოლიტიკური ძალაუფლების უეცარი ცვლილება აზერბაიჯანის მთავრობასთვის მოულოდნელი იყო. ადგილობრივმა და საერთაშორისო (ძირითადად რუსმა) ექსპერტებმა, მაგალითად მარკოვმა, სობჰანმა და ტროპინინმა, მრავალი განცხადება გააკეთეს იმის თაობაზე, თუ რა შესაძლებლობებს მოიტანდა ძალაუფლების ეს ცვლილება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, იმ იმედით რომ ფაშინიანის პოზიცია დავების მოგვარების საკითხებში სარქისიანისგან განსხვავებული იქნებოდა. სომხეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებისა და «ხავერდოვანი რევოლუციის» განმავლობაში და მათ შემდეგაც, აზერბაიჯანის მთავრობა თავს იკავებდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში სომხეთის მიმართ ყოველგვარი ნეგატიური ან აგრესიული რიტორიკისგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, სომხეთში იყო შიში, რომ აზერბაიჯანს ეს მომენტი შეიძლებოდა ყარაბაღში ომის განახლებისთვის გამოეყენებინა. მას შემდეგ, რაც სომხეთის ახალმა მთავრობამ თავისი პოზიცია გააჟღერა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით და მოითხოვა, რომ ყარაბაღის დე ფაქტო ხელისუფლებაც ჩართულიყო მოლაპარაკებების პროცესში, ოფიციალურმა ბაქომ სამშვიდობო პროცესის თვალსაზრისით რაიმე არსებითი ცვლილების პერსპექტივაში ეჭვი შეიტანა.

## რეკომენდაციები

ლალა ჯუმაიევა, მიქაილ ზოლიანი

სომხეთში მთავრობის ბოლოდროინდელი ცვლილება მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესების თავიდან დაწყების უნიკალურ შანსს წარმოადგენს.

პოლიტიკის შემქმნელებისათვის სომხეთსა და აზერბაიჯანში

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ორივე მხარის მთავრობებმა უნდა გააუმჯობესონ მოლაპარაკებების კლიმატი მილიტარისტული და ანტაგონისტური რიტორიკის შერბილებით და სიძულვილის ენისა და მტრული დისკურსების აღმოფხვრით. სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა უნდა გაზარდონ სამშვიდობო პროცესების გამჭვირვალობა და დიალოგის სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით სამშვიდობო პროცესში საზოგადოებების ჩართვა უზრუნველყონ. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებებში პროგრესი მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებად სავარაუდოა, რიტორიკისა და მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესის გარშემო არსებული ატმოსფეროს ცვლილება, შეიძლება თანდათანობით განხორციელდეს.

უფრო კონკრეტულად, მთავრობებმა უნდა:

- გამოიყენონ სუფთა ფურცლიდან დაწყების შესაძლებლობა, რათა ახალ ეტაპზე გადაიყვანონ მშვიდობის შენების პროცესი, როგორც ოფიციალურ ისე არაოფიციალურ დონეზე;
- შეწყვიტონ შეიარაღებული ძალების დამატებითი გაძლიერება;
- შეზღუდონ/შეამცირონ/აღკვეთონ აგრესიული რიტორიკა სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან;
- წარმოადგინონ ალტერნატიული დისკურსები მილიტარისტული და ომის მხარდამჭერი დისკურსების საპირწონედ;
- შექმნან სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისგან შემდგარი საერთო საბჭო,



რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებისთვის ეთიკის კოდექსს შეიმუშავებს;

- დანიშნონ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტთა ცოლების შეხვედრა და წახალისონ ქალთა ჯგუფების (მათ შორის ყარაბაღის სომხური და აზერბაიჯანული თემების წარმომადგენელი ქალების) თანამშრომლობა;
- ჩაერთონ გარემოსდაცვით თანამშრომლობაში და წახალისონ ის.

ევროკავშირს:

- სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებთან დიალოგით, ევროკავშირმა უნდა წახალისოს ამ მთავრობების წარმომადგენლები, შეწყვიტონ მილიტარისტული რიტორიკა და გადაერთონ უფრო კონსტრუქციულ დიალოგზე, რომელიც დაცლილი იქნება სიძულვილის ენისა და ძალადობის მუქარებისგან.
- ევროკავშირმა მეტად უნდა დაუჭიროს მხარი კონფლიქტის ტრანსფორმაციის ზომებს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებთან დიალოგში.
- მდგრადი ადგილობრივი მშვიდობის შესაქმნელად, დონორმა სააგენტოებმა უნდა იფიქრონ მშვიდობის მშენებლობის ინიციატივებზე გამოყოფილი ფინანსების დეცენტრალიზაციაზე და გაზარდონ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტური ზონიდან ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების რიცხვი.
- იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ყარაბაღის სამშვიდობო პროცესს, ევროკავშირმა მშვიდობის მშენებლობის უფრო ფოკუსირებული აქტივობები უნდა განახორციელოს. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის (EaP) ჩარჩოს შიგნით შემდეგი პროექტების განხორციელებაა შესაძლებელი:
  - უნდა გაგრძელდეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ევროპული პარტნიორობის (EPNK) საქმიანობა;
  - სამშვიდობო საქმიანობა უნდა გაძლიერდეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პროფესიული გაცვლითი ვიზიტებით, სადაც შესაძლებელი იქნება იდეების, ცოდნის, გამოცდილებისა და კულტურის გაზიარება. ამ ვიზიტების მიზანი მშვიდობის მშენებლობის პროცესისთვის აპოლიტიკური განზომილების დამატება იქნება.

# მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესზე სომხეთში რევოლუციური ცვლილებების გავლენის აღქმები აზერბაიჯანში

## ზაურ შირიევი

პოსტრევოლუციური სომხეთის მთავრობასა და აზერბაიჯანულ მხარეს შორის ურთიერთობის პირველი ხუთი თვე კომპლექსური იყო: მან აზერბაიჯანულ საზოგადოებაში ცვლილების იმედები ჯერ გაზარდა, შემდგომ კი შეამცირა. ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, ცვლილებების, განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და წინააღმდეგობრივი განცხადებების მიუხედავად, არის ის რომ სომხეთის ახალ მთავრობას აქვს უნარი გზა გაუხსნას კონფლიქტის მოგვარებას. ეს დამოკიდებულება გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსახლეობის უმრავლესობას და ოფიციალურ ბაქოს მიაჩნია, რომ სომხეთის წინა მთავრობა ყარაბაღის ომის მემკვიდრეობით სარგებლობდა, ხოლო ახალი ხელმძღვანელობა არის უფრო გახსნილი და ჰყავს ოფიციალური პირები, რომლებსაც მშვიდობის მშენებლობის გამოცდილება აქვთ. არსებობს ნდობის განმტკიცების შესაძლებლობა, იმისათვის, რომ მომავალში კონფლიქტის მოგვარებისკენ გადაიდგას ნაბიჯები. მხარეებმა შთამბეჭდავ წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტასა და მოქმედ საკომუნიკაციო არხებთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი მიადგნენ ორმხრივი უთანხმოების საზღვრებსაც. ნებისმიერი შემდგომი წინააღმდეგობრივი ნაბიჯი ან მოვლენა, რომელიც ზიანს მიაყენებს ამ მყიფე ნდობას, შეიძლება დაღუპული აღმოჩნდეს. ახლო მომავალში, განსაკუთრებით კი სომხეთის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, აზერბაიჯანული მხარისთვის მნიშვნელოვანია დაინახოს, რომ სომხეთის მთავრობას აქვს მშვიდობის ხედვა. სომხეთის საზოგადოების მშვიდობისათვის შემზადების გეგმის შემუშავება აუცილებელია აზერბაიჯანული საზოგადოების დასამშვიდებლად.

## დისკურსები ყარაბაღზე „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდგომ სომხეთში

### ანაკით შირინიანი

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის „ხავერდოვანი რევოლუციის“ ძირითადი აქცენტი საშინაო პოლიტიკაზე იყო, დემოკრატიული პლატფორმით მოსული ახალი ხელმძღვანელობის გაჩენას გავლენა აქვს როგორც ზოგადად საგარეო პოლიტიკაზე, ისე კონკრეტულად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე. 2018 წლის მაისში, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფაშინიანმა გააკეთა რამდენიმე განცხადება, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის მის პოლიტიკურ კურსზე და რომლებიც, ძლიერ სავარაუდოა, რომ შეადგენდეს სომხეთის განახლებულ პოზიციას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე. ფაშინიანმა რამდენიმეჯერ ახსენა, რომ მოლაპარაკებებზე მას მხოლოდ სომხეთის სახელით შეუძლია ისაუბროს, ვინაიდან ყარაბაღის მოსახლეობა არ იღებს მონაწილეობას სომხეთის არჩევნებში და მათი პოზიცია მათ მიერვე არჩეულმა წარმომადგენლებმა უნდა გააქდერონ. მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ მზად არის კომპრომისზე წასასვლელად, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი უარს იტყვის თავის სამხედრო რიტორიკაზე და აღიარებს ყარაბაღის ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე. აქციების დროს, ფაშინიანმა ასევე განაცხადა, რომ ის არ მოაწერს ხელს არანაირ გარიგებას სომეხ ხალხთან შეთანხმების გარეშე, მაშინაც კი, თუ მოლაპარაკებების შედეგად მისი აზრით სამართლიანი შეთანხმება მიიღწევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის ოქტომბერში ფაშინიანმა და ალიევიმ მიაღწიეს შეთანხმებას დაძაბულობის შემცირებასა და მხარეებს შორის კომუნიკაციის ხაზის გახსნასთან დაკავშირებით. ეს პროცესი ხელს შეუწყობს მოლაპარაკებების უფრო კონსტრუქციული გარემოს შექმნას, თუკი მხარეები აჩვენებენ მისი შენარჩუნების პოლიტიკურ ნებას. თუმცა,

არსებობს სკეპტიკურად განწყობის მიზეზიც, რადგან ნდობის აღდგენის შესახებ წარსულში დადებული შეთანხმებები არ განხორციელებულა. იმისათვის, რომ „ხავერდოვანი რევოლუცია“ იქცეს შესაძლებლობად სამშვიდობო პროცესისთვის, ამ პროცესში ორივე მხარემ უნდა შეიტანოს წვლილი.

## რეკომენდაციები

ანაპით შირინიანი, ზაურ შირიევი

### აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს

#### რიტორიკა, კომუნიკაცია და საჯარო დებატები

- გზავნილები ვერ იქნება მხოლოდ შიდა აუდიტორიაზე მიმართული. ნებისმიერი პოპულისტური, აგრესიული რიტორიკა, რომელიც შიდა აუდიტორიისთვისაა გამიზნული, მეორე მხარესაც აღწევს და ნეგატიურ იმიჯს ქმნის. უფრო მეტიც, მას შეუძლია გამოიწვიოს არა მხოლოდ რიტორიკული რეაგირება მეორე მხრიდან, არამედ ქმედებებიც და გადაჭარბებული რეაქციებიც, რამაც, თოვლის გუნდის ეფექტით, შეიძლება შედეგად ესკალაციასაც კი მოიტანოს. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ არაკომპრომისული და საომარი რიტორიკისგან.
- ოქტომბერში, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებში ახალი სპიკერები დაინიშნენ. ორივე მათგანი ქალია. ეს კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობაა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების კომენტირებისას უფრო დახვეწილი რიტორიკის დასახერგად. ორივე მხარემ საკუთარ მედიასთან თანამშრომლობის გაზრდის ახალი გზები უნდა იპოვოს და ონლაინ და ტრადიციული მედიის სააგენტოებთან უკეთესი თანამშრომლობა წახალისოს.
- მხარეებმა უნდა გამიჯნონ საზოგადოება და მთავრობა. მხარეებმა, იმის გათვალისწინებით, რომ ორმხრივი „გზავნილები“ გარდაუვალია, უნდა უზრუნველყონ, რომ „გამაფრთხილებელი შეტყობინებები“ მიზანში არ იღებდეს ხალხს - მთლიანად სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებას. ანალოგიურად, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ იმ ენის გამოყენებისგან, რომელიც „სხვის“ დეჰუმანიზაციას მოახდენს.
- იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები შეიძლება აზროვნების განსხვავებულ «სიხშირეზე» იყვნენ, იმის შესაძლებლობა, რომ რიტორიკა და ქმედება არასწორად იქნება ინტერპრეტირებული, ძალიან მაღალია. მაგალითად, კეთილგანწყობის გამოსახატავად განკუთვნილი ჟესტი შეიძლება აღქმულ იქნას ქედმაღლურ, დამამცირებელ ქმედებად ან უბრალოდ პიარ აქციად. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეტყობინებებისა და დისკურსების ფორმულირება მოხდეს ძალიან მკაფიოდ და არასწორი ინტერპრეტაციის რისკი შეფასდეს და თავიდან იქნას აცილებული.
- მხარეებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ დეზინფორმაციას, მისი დროული და ოპერატიული გამოსწორებებით და არ უნდა მისცენ მას ანტაგონიზმისა და მტრობის გაღვივების საშუალება.
- მხარეებმა უნდა გახსნან საჯარო დებატები იმის შესახებ, თუ რა განიხილება მოლაპარაკებების მაგიდასთან. არცერთი მხარე არ უნდა ელოდოს კომპრომისეზე მსჯელობას, თუკი კომპრომისებს არ განიხილავს შიდა სამხარეულოში.

#### ერთობლივი სიმბოლური ჟესტები

- მცირე სიმბოლური ჟესტების მნიშვნელობა სათანადოდ უნდა შეფასდეს და კეთილგანწყობის ჟესტები შესაბამისად უნდა იქნეს აღქმული. ასეთი ჟესტები შეიძლება იყოს მეხსიერების ადგილების მონახულების ნების დართვა ორივე მხრიდან ან ერთმანეთის საფლავების შენარჩუნება და მოვლა. ასევე, სახალხო დიპლომატიის საქმიანობებიც ხელს შეუწყობს ნდობის მშენებლობასა და უფრო ხელსაყრელი

- გარემოს შექმნას.
- ორივე საზოგადოებას სურს დაინახოს ხელშესახები შედეგები, როგორც არის მაგალითად პარიზის 2014 წლის შეთანხმების (რომელიც დაკავშირებულია ომის ტყვეების, მძევლებისა და დაკარგული ადამიანების პრობლემების გადაწყვეტასთან) შესრულება. მისასალმებელი იქნება ორივე მხარის მიერ დაკავებული ადამიანების გათავისუფლება. 2016 წლის მაისს, ვენაში გაკეთებული განცხადებით, რომლითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) მუშაობის მხარდაჭერას, ნათლად ჩანს რომ ორივე მხარე თეორიულად მზადყოფნას გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით. სტრატეგია და მოდალობები, თუ როგორ უნდა მოხდეს ICRC-ის მუშაობის გაუმჯობესება და მხარდაჭერა, აუცილებელია. ამან შეიძლება მოიტანოს ხელშესახები შედეგები მცირე მასშტაბით და ხელი შეუწყოს კონფლიქტის ადამიანური სახის ტრანსფორმაციას.
- იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანში სკეპტიკურად უყურებენ სომხეთის პირველი ლედის ინიციატივას „ქალები მშვიდობისთვის“, შეიძლება სასარგებლო იყოს ამ წამოწყების შესაძლებლობების გამოკვლევა. სომხურ მხარეს, თავის მხრივ, შეუძლია იყოს უფრო პროაქტიური აზერბაიჯანელი დედაებისთვის ხმის მიწვდენის გზების ძიებაში. ამ, ქალების მიერ წარმართულმა სამშვიდობო კამპანიამ, შესაძლოა მოლაპარაკებების მაგიდაზე და მშვიდობის მშენებლობის პროცესშიც კი გადაინაცვლოს.

#### მედიას და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ პირების


- მედიასა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ პირებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი აწარმოებენ დისკურსებს და შესაბამისად პასუხისმგებელნი არიან იმ ენასა და ტონზე, რომლებითაც ისინი ამ კონფლიქტს აშუქებენ. მათ თავი უნდა შეიკავონ ისეთი კომენტარებისგან, რომლებიც სხვა ადამიანების დეჰუმანიზაციას ახდენენ.

#### საერთაშორისო თანამეგობრობასა და საერთაშორისო დონორებს

- საერთაშორისო საზოგადოებასა და მედიატორებს შეუძლიათ მხარი დაუჭიროონ ამ რეკომენდაციების შესაბამის მხარეებთან, წახალისონ რიტორიკის ცვლილება და ამავედროულად, მწვანე შუქი აუნთონ სახალხო დიპლომატიის ინიციატივებს უმაღლეს დონეზე. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს, რომ ასეთ ინიციატივებს წინ არ გადაედლოს ოფიციალური ან არაოფიციალური დაბრკოლებები.
- საერთაშორისო დონორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე და კონფლიქტთან დაკავშირებულ ლექსიკაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლების გადამზადებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყანის მედია საშუალებებში გზავნილების უფრო მგრძობიარე ენის განვითარებას.



სრულადს ტატიები შეგიძლიათ იხ.: კავკასიის გამოცემა: კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჟურნალი  
ნომერი 3, გამოცემა 2, 2018 წელი და ონლაინ: [www.caucasusedition.net](http://www.caucasusedition.net).



აღნიშნული პუბლიკაცია, რომელზეც ერთობლივად იმუშავეს სამხრეთ კავკასიის, თურქეთის, რუსეთის და დიდი ბრიტანეთის ანალიტიკოსებმა შეიქმნა „იმეჯინ“ - კონფლიქტების ტრანსფორმაციის ცენტრის მიერ, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



Government Offices of Sweden

**IMAGINE**

Center for Conflict Transformation

Imagine Center for Conflict Transformation - არის დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ურთიერთობების პოზიტიურად ტრანსფორმაციის საფუძვლის შექმნას ხანგრძლივი და მდგრადი მშვიდობისთვის.

[www.imagedialogue.com](http://www.imagedialogue.com)

[info@imagedialogue.com](mailto:info@imagedialogue.com)

**Caucasus Edition**

Journal of Conflict Transformation



